ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

■ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

■

■ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐

მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)

საიდენტიფიკაციო კოდი: **428518017**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: მაია ინასარიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: იზაბელა იოსელიანი

**II. ელექტრონული ფორმით (CD-R-ით) დასართავი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**

**სულ 2990 გვერდი**

| | |
|---|---|
| ■ | 2018–2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; |
| | 2019–2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. |
| ■ | სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია კათედრების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, თემატურ-კალენდარული/თემატური ერთეულის გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ■ | სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტაცია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

| | |
|---|---|
| ■ | სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| ■ | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფართის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| ■ | დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები/ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი |
| ■ | დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები |
| ■ | დაწესებულების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (Curriculum Vitae, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების ან/და სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) |
| ■ | დაწესებულების ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| ■ | დაწესებულების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები |
| ■ | სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................

..............................

..............................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

III. დაწესებულების მისია:

2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მისია თითქმის უცვლელია, შეცვლილია მხოლოდ პირველი წინადადება: ა) მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიცემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე (დამატებულია „საშუალო საფეხურზე"). საბოლოოდ, მისია ჩამოყალიბებულია ამგვარად:

ა) მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიცემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე;

ბ) ზნეობრივად, ინტელექტუალურად, ფიზიკურად ჯანსაღი და ეროვნული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდა მართლმადიდებლური ღირებულებების შესაბამისად;

გ) მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა;

დ)სკოლა უზრუნველყოფს: მოსწავლეთა მოტივირებას გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით და მისცემს მათ ღრმა, საფუძვლიან და მტკიცე ცოდნას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

IV. სტანდარტები

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

**შეფასება:** ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატმა ექსპერტთა ჯგუფს გადმოგზავილი დოკუმენტაციის სახით წარუდგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2018 წლის 31 აგვისტოს (ოქმი N1) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება 3-45 (03.09.2018), ასევე წარუდგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, განხილული სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2019 წლის 18 თებერვალს (ოქმი N4) და დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება 3–08 ( 19.02.2019 წ.). როგორც 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ისე 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობს მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. პროექტში, პირველ რიგში, შეტანილია ის ცვლილებები, რომლებსაც მოითხოვს საშუალო საფეხურის დამატება. კერძოდ, საშუალო საფეხურის მისია, სადამრიგებლო პროგრამა საშუალო საფეხურისათვის, განსაზღვრულია არჩევითი საგნები და ა.შ. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საათობრივი ბადე, რომელიც მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______ ბ.ა.

აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი რომელი პედაგოგის მიერ ისწავლება.

ორივე სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- სკოლის მისია;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;
- სასწავლო კალენდარი;
- დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
- საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- ინკლუზიური განათლება;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ___

ბ.ა.

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- გაკვეთილების ცხრილი.

სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის სასწავლო წლის კალენდარი, სასწავლო წლის ხანგრძლივობა და არდადეგები, დღის რეჟიმი, კომპონენტისათვის "შემაჯამებელი დავალება" სავალდებულო რაოდენობის ცხრილი, დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, საათობრივი ბადე და პედაგოგთა კვირეული დატვირთვა, კათედრები.

სკოლას შემუშავებული აქვს დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი დასამუშავებელი თემები და მისაღწევი შედეგები საფეხურების მიხედვით. თემატიკის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები. სადამრიგებლო პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- პიროვნული და მორალური განვითარება;
- გარემოს დაცვის კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების განვითარება;
- თვალსაწიერის გაფართოება;
- მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოებში მოცემულია ყველა მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია მოსწავლეებზე. დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, არის მოსწავლეთა ინტერესების დადგენაზე ორიენტირებული კითხვარები, თვითშეფასების კითხვარები, მოსწავლის

სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების (უმჯობესი იქნება, უნარების) შეფასების ცხრილი, მოსწავლეთა მიღწევების, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია, მშობელთა კრების ოქმები, მშობელთა გამოკითხვის ამსახველი კითხვარები და მათი ანალიზი, ერთ კლასში შემავალ მასწავლებელთა გამოკითხვის ამსახველი კითხვარები და მათი შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაში არსებული პრობლემების მატრიცა, სხვადასხვა ღონისძიების ამსახველი დოკუმენტაცია (მათ შორის ფოტომასალა). აღნიშნული მასალების დათვალიერებით ჩანს, რომ სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეთა როგორც შემეცნებით, ისე სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

**დასტურდება:**

- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;
- ✓ 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

**შეფასება:** სკოლაში მოსწავლეები სწავლობენ ყველა იმ საგანს, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ___________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი აქვს ფოლკლორი (ძირითადად აქცენტი კეთდება მუსიკალურ ფოლკლორზე, საეკლესიო საგალობლებზე) და საღვთო სჯული. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, სკოლის სპეციფიკა (სკოლის ერთ-ერთი მისიაა ზნეობრივად, ინტელექტუალურად, ფიზიკურად ჯანსაღი და ეროვნული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდა მართლმადიდებლური ღირებულებების შესაბამისად), მეორე მხრივ, მშობელთა დაკვეთა; ორივე საგანში სკოლას შედგენილი აქვს პროგრამა, გაწერილი დროში და თემებად, რესურსების მითითებით. ასევე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით სააღმზრდელო მომსახურებას - გახანგრძლივებულ სწავლებას 17 საათამდე (მშობელთა განაცხადის შესაბამისად) და არასავალდებულო დამატებით უფასო მომსახურებას საეკლესიო გალობასა და ქარგვაში.

სკოლამ გაითვალისწინა წინა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და მეორე უცხო ენის (რუსული) შესწავლას იწყებს მეხუთე კლასიდან.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეში ასახულია დამატებითი სავალდებულო მომსახურების საგნებისათვის განკუთვნილი საათები, ასევე დამატებულია თითო საათი მათემატიკასა და ინგლისურ ენაში ყველა კლასში. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში განსაზღვრულია არჩევითი საგნები: X კლასში მსოფლიო კულტურა – 2 საათი; XI კლასში ქიმიური ტექნოლოგიები – 2 საათი; XII კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული კურსი – 2 საათი (მხოლოდ I სემესტრში); მართალია, ჯერ ამ კლასებში მოსწავლეები სკოლას არ ჰყავს, მაგრამ შემუშავებულია პროგრამა, თემატური გეგმები და მობილიზებულია შესაბამისი რესურსები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................

..............................

..............................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

სასკოლო სასწავლო გეგმის 2018-2019 წლის ვერსიაში სპორტის სახეობებად განსაზღვრულია: საბაზო საფეხურზე - ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, ხოლო 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სპორტის სახეობები ჩაშლილია საფეხურების მიხედვით: I-VI კლასები – მოძრავი თამაშები, ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა; საბაზო და საშუალო საფეხური: ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა. ზოგადად, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოსავლენად. ამას ადასტურებს მათი წარმატებები სხვადასხვა სახის კონკურსებში, მაგალითად, კინგსის ოლიმპიადებში, დედოფლისწყაროს მოსწავლეთა სახლის მიერ ჩატარებულ ინტელექტუალურ შეჯიბრებებში, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, ქვეყნის მასშტაბით ხალხური სიმღერისა და გალობის კონკურსში (პირველი და მესამე ადგილი) და სხვა.

მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავს თითოეული მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ გავიდა სასურველ შედეგზე, მასწავლებლები მასთან მუშაობენ ინდივიდუალურად არასაგაკვეთილო დროს.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფისათვის შექმნილია ოთხი საგნობრივი ჯგუფის კათედრა:

ა)ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენების;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ისტ–ის;

გ) ჰუმანიტარული მეცნიერებების და ესთეტიკური აღზრდის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

დ) დაწყებითი განათლების (I-VI კლასები).

კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილია როგორც კათედრების საქმიანობის, ისე სასწავლო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. კერძოდ: კათედრის წევრთა შემადგენლობა, საათობრივი განაწილება და გაკვეთილების ცხრილი, კათედრის დებულება და საქმიანობის აღწერა (ფუნქციები), გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, კათედრის სამუშაო გეგმა, სხდომის ოქმები, შემაჯამებელი სამუშაოების განრიგი, შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრული ანალიზები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ერთი კლასის ფარგლებში დადგინდეს ზოგადი და სპეციფიკური ხასიათი პრობლემები სემესტრის განმავლობაში. ცალკეული შემაჯამებლის ანალიზები არის თითოეული მასწავლებლის პორტფოლიოში. ასევე კათედრის პორტფოლიოებში არის გაკვეთილზე დასწრების ოქმები, ანგარიშები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალები. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, რომელიც იძლევა გაკვეთილზე როგორც ზოგადი, ისე ფოკუსირებული დაკვირვების საშუალებას. თითოეული მასწავლებლის პორტფოლიოში არის თემატური გეგმები, რომლებიც შედგენილია დაწყებითი საფეხურის სტანდარტის ახალი ვერსიის მიხედვით, საბაზო საფეხურის თემატურები შედგენილია 2018-2019 სასწავლო წლისათვის სტანდარტის ძველი ვერსიის მიხედვით, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლისათვის მასწავლებლებს შედგენილი აქვთ თემატურების / პროგრამის მონახაზები საბაზო საფეხურის ახალ სტანდარტზე დაყრდნობით.

**დასტურდება:**

- ✓ 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

- ✓ კათედრების პორტფოლიოებით;
- ✓ კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოებით;
- ✓ ინტერვიუებით.

**1.3** სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

**შეფასება:** სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჯერ არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, შემუშავებული აქვს ინდივიდუალური გეგმის ნიმუში სსსმ მოსწავლეთათვის, სსსმ მოსწავლის აღწერის ფორმა, განსაზღვრულია მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გაწერილია, როგორ უნდა იმუშაოს ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში, როგორ და რა ვადებში დადგინდება სსსმ მოსწავლის საჭიროებები, ასევე განსაზღვრულია შინ სწავლების მექანიზმები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში შექმნილია ადაპტირებული ფიზიკური სასწავლო გარემო.
ამ საკითხთან დაკავშირებით ჯანსაღი დამოკიდებულება გამოვლინდა მშობელთა და მასწავლებელთა მხრიდან ინტერვიუებშიც.
შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლეთა მისაღებად როგორც ადამიანური რესურსების, ისე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

**დასტურდება:**

- ✓ 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- ✓ ინტერვიუებით;
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:** სკოლაში შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, განსაზღვრულია ქულების დაანგარიშების წესი, სემესტრული შეფასების პრინციპები. დადგენილია სასწავლო წლისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და ამ ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. გამოცდები სკოლას არ აქვს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ყველა საკლასო ოთახში გამოკრულია შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით. გარდა შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმისა, სკოლას შემუშავებული აქვს შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრული ანალიზის ფორმაც, რომელიც კლასის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვებისა და შესაძლო პრობლემის დადგენის საშუალებას იძლევა. ყველა შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი მთავრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ჩამონათვალით. შეინიშნება ზედმეტი გატაცება ტესტური

დავალებებით (არჩევითპასუხიანი და შესაბამისობის). სკოლის ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია, გაამრავალფეროვნონ შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები და შემაჯამებელი სამუშაოს ტიპი ასახონ თემატურ გეგმებში.

მოსწავლეთა საშინაო დავალებებისა და საკლასო სამუშაოების ნამუშევრების დათვალიერებამ ცხადყო, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ინფორმაციულ განმავითარებელ კომენტარს. სასურველია, გაკვეთილის გეგმებში მასწავლებლებმა ასახონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიც.

**დასტურდება:**

- ✓ 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითა და 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- ✓ დამრიგებლებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებით;
- ✓ საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებით.

**1.5** შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

**შეფასება:** მშობელთა შეხედულებების, სურვილებისა და დამოკიდებულებების დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება მათთან ურთიერთობის ფორმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში არსებობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივ კომუნიკაციას. შექმნილია მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა და მშობელთა კრებების ჩატარების საორიენტაციო გრაფიკი. ყოველი კვირის პარასკევი გამოცხადებულია მშობლის დღედ. ყოველი თვის ბოლოს კლასის დამრიგებლები ავსებენ თითოეულ მოსწავლის აკადემიური მოსწრების მატრიცას და აწვდიან მშობლებს. გარდა იმისა, რომ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების ამსახველი მასალა ვნახეთ დამრიგებლების პორტფოლიოებში, ამის შესახებ ისაუბრეს მშობლებმაც ინტერვიუს დროს, გამოხატეს მადლიერება სკოლის ხელმძღვანელობისა და დამრიგებლების მიმართ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დაგვიანების, არგამოცხადების, დისციპლინარული გადაცდომის, აკადემიური მოსწრების გაუარესების და სხვა შემთხვევებში დაუყოვნებლივ უკავშირდებიან.

მშობლების ინფორმირებისა და მათი ჩართულობისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ვებგვერდსა skola-gorgasali.org და სოციალურ ქსელს (facebook-ს).

მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ ღონისძიებებში, ლაშქრობებსა და ექსკურსიებში, ეზოს მოვლა-პატრონობაში.

**დასტურდება:**

- ✓ ვებგვერდითა skola-gorgasali.org და სოციალური ქსელით (facebook-ი, დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი).
- ✓ მშობლებთან ინტერვიუთი;
- ✓ დამრიგებლების პორტფოლიოებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

**1.6** შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

**შეფასება:** სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელშიც მოიაზრება სასწავლო პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად ჩატარებული მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ამსახველი მასალები. გამოკითხვების შედეგების, როგორც თითოეული კლასის თითოეული შემაჯამებელი დავალების, ისე შემაჯამებელი დავალებების სემესტრული ანალიზების, გაკვეთილებზე დასწრებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის (გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი), სხვადასხვა კონკურსში მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები სასკოლო სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად.

**დასტურდება:**

✓ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებით;

✓ კითხვარებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

## 1. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

**შეფასება**: სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, კერძოდ: დაწესებულებას საქართველოს საპატრიარქოსგან უზურფრუქტის წესით 6 ნაწილად გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი 20 წლის ვადით (26.02 2017 წ. – 27.02 2037 წ.), ერთ მისამართზე საერთო ფართით 17107 კვ. მ. მასზე განთავსებული 4 შენობა-ნაგებობით, რომლებსაც სკოლა იყენებს სასწავლო მიზნებისთვის. N1 შენობა - განაშენიანების ფართი 852.22კვ.მ, საერთო ფართი - 601.21კვ.მ (შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით); N2 შენობა - განაშენიანების ფართი 1208.83კვ.მ, საერთო ფართი - 932.29კვ.მ (შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით); N3 შენობა - განაშენიანების ფართი 1212.58კვ.მ, საერთო ფართი - 995.57 კვ.მ (შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით); N4 შენობა - განაშენიანების ფართი 615კვ.მ. ამჟამად მიმდინარეობს შენობის ნაწილის დემონტაჟი, შენობის შიდა ფართის აზომვა მოხდება დემონტაჟის დასრულების შემდეგ. N4 შენობაში იგეგმება ძალოსნობის დარბაზის მოწყობა, საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდა 2 ინდივიდუალურ შენობაში. ამჟაამად დასრულდა N3 შენობის რემონტი და ახალი სასწავლო წლიდან აქ იგეგმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ინწკირველი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

საშუალო საფეხურის განთავსება. სკოლას აქვს ერთი შესასვლელი, ეზო შემოსაზღვრულია მაღალი გალავნით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1. | ქალაქი დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქ. (ყოფილი რუსთაველის ქ.) N45 | 17107 |

**დასტურდება:**

- ✓ უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებით;
- ✓ საჯარო რეესტრის ამონაწერებით;
- ✓ უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშკრულებით;
- ✓ აზომვითი ნახაზებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

______

______

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**შეფასება:** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№572; 09.08.2011წ.) ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მატერიალური რესურსების პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" დანართი №1-ის შესაბამისად, სკოლას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები. ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა 250 მოსწავლის ინდივიდუალური მერხი, მოსწავლის სკამი - 332 ერთეული, მასწავლებლის 12 მაგიდა და მასწავლებლის 12 სკამი, 12 ცარცის დაფა, 2 მარკერის დაფა. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და სხვა აუცილებელი მატერიალური რესურსით. კომპიუტერული სწავლების კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორით. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სააქტო დარბაზი, სადაც ეწყობა კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები, საერთო სასკოლო შეხვედრები. მესამე შენობაში იგეგმება საკონფერენციო დარბაზის მოწყობა (გამოყოფილია და გარემონტებული ფართი, შესატანია ავეჯი), სადაც მოხდება პროექტების პრეზენტაციები და ჩატარდება სასკოლო კონფერენციები.

**დასტურდება:**

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით;
- ✓ სასაქონლო ზედნადებებით;
- ✓ ანგარიშფაქტურებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**შეფასება:** სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი ბუნებრივი საფარით, კალათბურთის ფარებითა და ფეხბურთის კარებით, შესაბამისად დახაზული. სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო სპორტული ინვენტარით, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის სახეობებისათვის. მესამე შენობაში მიმდინარეობს დახურული სპორტული დარბაზის მოწყობა. ამჟამად დარბაზის გარე ფასადი დასრულებულია, ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნულ დარბაზში შიდა სარემონტო სამუშაოები 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის ნაწილობრივ დასრულდება. კერძოდ, მოპირკეთდება დარბაზის იატაკი და კედლები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება უკვე სასწავლო წლის დასაწყისიდან, დარბაზის სრული ექსპლუატაცია კი იგეგმება 2019 წლის დასასრულისთვის.

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის სახეობებისთვის საჭირო ინვენტარი: ჩოგბურთის მაგიდები, ბადმინტონის ჩოგნები, ბურთები.

დასტურდება:

- ✓სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით;
- ✓ანგარიშ-ფაქტურებით;
- ✓ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

**შეფასება:** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№572; 09.08.2011წ.) ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მატერიალური რესურსების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" დანართი №2-ის შესაბამისად, სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარი საბუნებისმეტყველო საგნებში. კერძოდ, გამოყოფილია ოთახები: ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. შედგენილია ლაბორატორიის სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესები. ლაბორატორიას არ გააჩნია საპრეპარატორო ოთახი, მაგრამ ოთახს აქვს ღრმა ნიშა, რომელიც გამოყენებულია ხელსაწყოების განსათავსებლად. კარადები იკეტება. ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არის სველი წერტილები, ლაბორატორიები კარგად ნიავდება, არის 2 ფანჯარა. ლაბორატორიებს არ აქვთ გამწოვი, რის გამოც სკოლას მიეცა რეკომენდაცია. როგორც გაგვიცხადეს, დაგეგმილია გამწოვის დამონტაჟება უახლოეს პერიოდში.

**დასტურდება:**

- ✓ სასაქონლო ზედნადებები.
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები.
- ✓ ლაბორატორიის სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებით.
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

**შეფასება:** სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, კეთილმოწყობილი სველი წერტილები (20 სველი წერტილი, მათ შორის 5 სსსმ მოსწავლისათვის), სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, რაც საშუალებას იძლევა საკლასო ოთახებში, კაბინეტებში, მთლიანად შენობაში შენარჩუნებულ იქნას სტაბილური ტემპერატურა. ბუნებრივი აირის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „სოკარ ჯორჯია კახეთი", ხოლო ელექტროენერგიით სკოლას ამარაგებს სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია". დაწესებულებას წყალი მიეწოდება „გაერთიანებული წყალმომარაგებიდან".

**დასტურდება:**

- ✓ გადახდის ქვითრებით.
- ✓ შესყიდვის ხელშეკრულებებით.
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

**შეფასება:** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით აღრიცხულია 884 მხატვრული ლიტერატურა და I-XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოები - 315 ერთეული. ყველა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

სახელმძღვანელო გრიფირებულია. წიგნები დაწყობილია საგნების მიხედვით თაროებზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის დებულება. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის მიზნები, ამოცანები, საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმართვის წესი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერი (ლეპტოპი), რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს და პედაგოგებსაც, თავად მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით, თუ საბიბლიოთეკო ფონდში არ აღმოჩნდება მათთვის სასურველი წიგნი.

**დასტურდება:**

✓ბიბლიოთეკის დებულებით;

✓ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმით;

✓ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნით;

✓ანბანური კატალოგით და ელექტრონული კატალოგით;

✓ანგარიშ-ფაქტურებით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით;

✓ჩუქების ხელშეკრულებით;

✓მიღება-ჩაბარების აქტებით;

✓ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

**შეფასება:** სკოლაში შექმნილია ყველა პირობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, სამივე შენობაში, ძირითად შესასვლელში, მოწყობილია პანდუსები (შეგახსენებთ, რომ სკოლის ყველა შენობა ერთსართულიანია). სამივე შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. 1 შენობაში 1 იზოლირებული სველი წერტილი, ხოლო დანარჩენ 2 შენობაში 4 ადაპტირებული სველი წერტილია მოწყობილია ტუალეტში ვაჟებისა და გოგონებისთვის.

**დასტურდება:**

✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

**შეფასება:** სკოლას აქვს 18 პერსონალური კომპიუტერი, 3 ლეპტოპი; 2 შავთეთრი პრინტერი, 2 კომბაინი, 1 პროექტორი. ინტერნეტი მიეწოდება სს „სილქნეტთან" გაფორმებული ხელშეკრულებით. ვიზიტის პერიოდში N1 შენობაში 4 კომპიუტერი იყო ჩართული ინტერნეტის ქსელში. ადმინისტრაციის განცხადებით, N2 და N3 შენობებში ყველა კომპიუტერი იქნება ჩართული. ვიზიტის დროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

მიმდინარეობდა დამონტაჟების სამუშაოები. საინფორმაციო ფუნქციებს ასრულებს ელექტრონული ფოსტა meufe.75@gmail.com, skola.vaxtanggorgasali2014@gmail.com, facebook-ის გვერდი, დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი, და ვებ-გვერდი skola-gorgasali.org. რომლის განახლებაც ხორციელდება პარალელურ რეჟიმში. ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს. განთავსებულია განცხადება-შეტყობინებები და ხორციელდება კონტაქტი მშობლებთან.

**დასტურდება:**

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ვებ-გვერდით;
- ✓ შესყიდვისა და ჩუქების ხელშეკრულებით;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ✓ ახალ ქსელებთან და სილქნეტთან დადებული ხელშეკრულებებით.

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

**შეფასება:** სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის შესასვლელთან განთავსებულია სახანძრო ინვენტარის ფარი (2 ცალი სახანძრო სათლი, ერთი ცალი ნიჩაბი და ერთი ცალი ხელცული), ყველა შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები (ჯამში11 ცეცხლმაქრი). ცეცხლმაქრებს ყოველწლიურად უტარდება ტექნიკური შემოწმება და ხორციელდება დამუხტვა. ოთახებში დამონტაჟებულია სახანძრო, მოძრაობისა და მსხვრევის დეტექტორები.

დაწესებულებაში შემუშავებულია უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულება, განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ეფექტური ქმედებები და პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................
..............................
..............................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას ჰყავს 1 ექთანი, ფუნქციონირებს პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებითა და რესურსებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი.

სკოლას ჰყავს დარაჯი. წესრიგის დაცვას მეთვალყურეობას უწევენ მორიგე მასწავლებლებიც, რომელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია სამასწავლებლოში და დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. სკოლას იცავს დაცვის სამსახური მართვის პულტის საშუალებით.

სკოლის გარე და შიდა პერიმეტრის დაცვას უზრუნველყოფს 26 (ოცდაექვსი) უსაფრთხოების ვიდეო თვალი. აქედან 14 აკონტროლებს გარე პერიმეტრს (N3 შენობას აკონტროლებს ოთხი 4 MP კამერა, N1 და N2 შენობებს - ათი 3 MP კამერა), შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 12 კამერა. აქედან, სააქტო დარბაზს, საკონფერენციო დარბაზსა და N2 შენობის ფოიეს - 3MP კამერა.

სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერებით უზრუნველყოფილია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების გაკონტროლება და შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის საისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს.

**დასტურდება:**

- ✓ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმით;
- ✓საევაკუაციო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........

..........

..........

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

- ✓ უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებით;
- ✓ ხელშეკრულებებით;
- ✓ ანგარიშ-ფაქტურებით.

**2.7** სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

**შეფასება:** სკოლაში შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და დებულება. წესდება, შინაგანაწესი და დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. შინაგანაწესში გაწერილია სამუშაო და დასვენების დრო, თანამშრომლების მიღებისა და ხელშეკრულებების გაფორმების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, ჩაცმულობის წესი როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმატი. სკოლის დებულებაში ganწერილია სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმინობის საგანი, სკოლის სტრუქტურა, მენეჯმენტი და პერსონალის უფლება-მოვალეობები. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკისა და კათედრის/კათედრების დებულებები, საქმისწარმოების წესი. ყველაფერი ეს ქმნის სკოლაში მოქმედ ერთიან საკანონმდებლო ბაზას და ხელს უწყობს სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

**დასტურდება:**

- ✓ წესდებით;
- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ დებულებით;
- ✓ ბიბლიოთეკისა და კათედრის დებულებებით;
- ✓ საქმისწარმოების წესით;
- ✓ ბრძანებებით.

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**შეფასება:** სკოლაში SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის ზრდას, ისე მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და გაუმჯობესებას. კერძოდ, სტრატეგიულ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, პედაგოგების კვლევითი საქმიანობისათვის ხელის შეწყობას; ასევე სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესებას. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია N3 შენობაში სპორტული დარბაზის ექსპლოატაციაში შესვლა, N4 შენობის სარემონტო სამუშაოები და ძალოსნობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

დარბაზის მოწყობა; სკოლა მომავალში ელის კონტინგენტის გაზრდას, ამიტომ წინსწრებით ქმნის ამისათვის საჭირო პირობებს.

**დასტურდება:**

✓ ინტერვიუებით;

✓ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმით;

✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**შეფასება:** სკოლაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებების, რეკომენდაციებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (№414;01.07.1999წ.) ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" შესაბამისად და იუსტიციის მინისტრის №72 ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალი, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სკოლაში საქმისწარმოების სრულყოფისათვის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი.

**დასტურდება:**

✓ შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

✓ საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;

✓ ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;

✓ საქმისწარმოების წესით;

✓საქაღალდეებით.

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

**შეფასება:** სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით. 124 მოსწავლეს ემსახურება 22 მასწავლებელი, რომელთაგან ექვსს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს მინიჭებული, 14 პრაქტიკოსია, 2 კი - მოწვეული. დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს, გარდა მოწვეული მასწავლებლებისა, რომელთა ადგილებზე ჩვენი ვიზიტის პერიოდში დირექციამ გამოაცხადა ვაკანსია. როგორც დირექტორმა გვითხრა, მათ ადრეც ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსია და აღნიშნულ ადგილზე არავის გამოუთქვამს მოსვლის სურვილი.

**დასტურდება:**

✓დასაქმებულთა პირადი საქმეებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

✓2018-2019 სასწავლო წლის საშტატო განრიგით;

✓2019-2020 სასწავლო წლის საშტატო განრიგის პროექტით;

✓ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

**3.2** სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

**შეფასება:** სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგნებში, რომლებსაც ასწავლიან. ყველა პედაგოგი ჩართულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში.

დასტურდება:

✓მასწავლებელთა პირადი საქმეებით;

✓ბრძანებების წიგნით;

✓ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**შეფასება:** სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და ადმინისტრაციული სახდელების გამჭირვალე სისტემა. მასწავლებლის შერჩევისას საჭიროების შემთხვევაში იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შეარჩევს კანდიდატს შემდეგი ეტაპების დაცვით: საბუთების გადარჩევა, გასაუბრება, დირექციას ასევე შეუძლია მოითხოვოს თემატური დაგეგმვის ნიმუში ან მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ჩატარება. თუ საკონკურსო კომისია არ იქმნება, გასაუბრების შემდეგ მასწავლებელი მიიღება გამოსაცდელი ვადით. გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაში იღებს დირექტორი. სკოლის დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს N3-36 ბრძანების დანართი 1-ის თანახმად, განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების, დისციპლინური სახდელის დაკისრებისა და შეფარდების ფორმები, დისციპლინური სახდელის მოხსნისა და სამართალწარმოების ვადები. წარმატებული საქმიანობისათვის სასწავლო წლის შედეგების შეჯამების შემდეგ დირექტორის ბრძანებით ხდება პედაგოგთა წახალისება სხვადასხვა ფორმით: ფულადი პრემიითა და სიგელებით დაჯილდოება, ექსკურსია, ფასიანი საჩუქრები და სხვ.

**დასტურდება:**

- ✓შინაგანაწესით;
- ✓შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ინტერვიუებით;
- ✓დირექტორის ბრძანებებით (ბრძანებების წიგნით).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------------

----------------------------------

----------------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

**3.4** მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

**შეფასება:** სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია წინარე და მიმდინარე შრომითი ურთიერთობების ხელშეკრულებები საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის დაცვით, არსებითი პირობების გათვალისწინებით. შრომითი ურთიერთობისათვის დაწერილია შესაბამისი ბრძანებები და გატარებულია ბრძანებების წიგნში.

**დასტურდება:**

- ✓ შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ დირექტორის ბრძანებებით.

**3.5** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

**შეფასება:** სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია შეფასების ჯგუფის შემადგენლობა. კათედრების და მასწავლებელთა პორტფოლიოებში არის პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ამსახველი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

მასალები, ტრენინგის რეფლექსიები, ტრენინგზე შესწავლილის პრაქტიკაში გადატანის დასტურად ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული უკუკავშირები (გაკვეთილზე დაკვირვების შევსებული ფორმები); უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კათედრის სხდომებზე. სკოლის დირექციას აქვს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მასწავლებელთა მონაწილეობის ამსახველი ერთიანი ცხრილი.

**დასტურდება:**

- ✓ კათედრების პორტფოლიოებით;
- ✓ მასწავლებელთა პორტფოლიოებით;
- ✓ შეფასების ჯგუფის მასალებით.

**3.6** სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

**შეფასება:** სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მისმა თითოეულმა წევრმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა. შინაგანაწესსა და დებულებაში გაწერილი დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული. სკოლაში სუფევს კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლებთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ თითოეულ მათგანს მძაფრად აქვს გამოხატული მიკუთვნებულობის განცდა. ისინი სიყვარულითა და სითბოთი, მადლიერების გრძნობით საუბრობენ სკოლაზე და ზრუნავენ სკოლის განვითარებაზე.

თანამონაწილეობის განცდის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს კითხვარებიც მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთათვის. სწორედ სასკოლო საზოგადოების სურვილების, წინადადებისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, თანამედროვე მოთხოვნების შეჯერების საფუძველზე იღებს სკოლა გადაწყვეტილებებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ხარისხს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო კლასგარეშე საქმიანობას უფასო არასავალდებულო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა თუ სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი და სპორტული ღონისძიებების სახით, რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად ხშირად მონაწილეობენ მასწავლებლებიცა და მშობლებიც.

**დასტურდება:**

- ✓ ინტერვიუებით;
- ✓ სკოლის ვებგვერდით
- ✓ მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კითხვარებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

IV. თანდართული დოკუმენტაცია

უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (3 გვ.);

უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება (2 გვ.).

(შევსების ადგილი) თარიღი

თბილისი 26.06.2019



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________

ბ.ა.